წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი

17-30 ივლისი 2012

მედია მონიტორინგის დროს 17-30 ივლისის პერიოდში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები:

- რუსთავი 2-სა და იმედზე დათმობილი დროის მიხედვით პირველი ხუთეულის თანმიმდევრობა და დროის განაწილება ერთმანეთს ემთხვევა. ესენია: პრეზიდენტი, მთავრობა, კოალიცია ქართული ოცნება, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა და ახალი მემარჯვენეები.
- ასევე მსგავსია დათმობილი დროის განაწილება მაესტროსა და მეცხრე არხზე. აქ თანმიმდევრობა ასე გამოიყურება: კოალიცია ქართული ოცნება, მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, პრეზიდენტი, ადგილობრივი არასამთავრობოები.
- პირველი არხზე, კავკასიაზე და რეალ ტვ-ზე დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილას კოალიცია ქართული ოცნება დგას. თუმცა, დროის განაწილების მხრივ საკმაოდ დიდი განსხვავებებია.
- პირველ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება ყველაზე თანაბარია. ხოლო რეალ ტვ-ზე - ყველაზე არათანაბარი.

- პირველ არხზე მთავრობის გარდა თითქმის ყველა სუბიექტს პირდაპირი საუბრის წილი 50 პროცენტზე მეტი აქვს.
- რუსთავი 2-სა და იმედზე პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილება ისევე, როგორც დათმობილი დროის განაწილება, საკმაოდ მსგავსია. ორივე შემთხვევაში კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს ყველაზე დაბალი პირდაპირი საუბრის წილი იმ სუბიექტებიდან, რომლებსაც 5 წუთზე მეტი დაეთმო.
- მაესტროზე, კავკასიასა და მეცხრე არხზე კოალიცია ქართული ოცნებას პირდაპირი და ირიბი საუბრის ძალიან მსგავსი განაწილება აქვთ - დათმობილი დროის თითქმის ნახევარი.

- მეცხრე არხზე მთავრობას პირდაპირი საუბრის ძალიან მცირე წილი აქვს. ასეთი მაჩვენებელი არცერთ სხვა არხზე არ დაფიქსირებულა იმ სუბიექტებთან მიმართ, ვისაც 4 წუთზე მეტი დრო დაეთმო.
- რეალ ტვ-ზე კოალიცია ქართული ოცნებისა და პრეზიდენტის შემთხვევაში პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი ერთმანეთის უკუპროპორციულია. კოალიციას პირდაპირი საუბრის 29 პროცენტი აქვს, პრეზიდენტს კი ამდენივე ირიბი საუბრის წილი.

- გაშუქების ტონის მხრივ რიგ სუბიექტებთან მიმართებაში მსგავსი სურათია რუსთავი 2-სა და იმედზე. ორივე არხზე პრეზიდენტს დადებითი ტონის 80 პროცენტზე მეტი აქვს. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მთლიანი პერიოდის განმავლობაში დადებითი ტონის ამხელა წილი არ დაფიქსირებულა. პრეზიდენტის გარდა სუბიექტების გაშუქების ტენდენცია მსგავსია მთავრობის, ქრისტიან-დემოკრატებისა და კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში.
- აღნიშნული ტენდენცია პირველ არხზეც შეინიშნება, მაგრამ პროცენტული განაწილება განსხვავებულია (პრეზიდენტის, მთავრობისა და ქრისტიან-დემოკრატების დადებითი ტონით გაშუქება).
- მაესტროზე და მეცხრე არხზე შეინიშნება ერთი და იგივე სამი სუბიექტის მიმართ შედარებით მეტი უარყოფითი ტონით გაშუქების ტენდენცია. ეს სუბიექტებია: მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი.
- რეალ ტვ-ზე დაფიქსირდა უარყოფითი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 71 პროცენტი კოალიცია ქართული ოცნების მიმართ. მთავრობისა და პრეზიდენტის შემთხვევაში დადებითი გაშუქების წილი 45 პროცენტზე მეტია.

- ჟურნალისტის ტონში პირველ არხზე პრეზიდენტს 50 პროცენტზე მეტი დადებითი გაშუქება აქვს.
- რუსთავი 2-ზე, იმედზე, მაესტროსა და მეცხრე არხზე ჟურნალისტის ტონის განაწილება ზოგადი ტონის განაწილების მსგავსია.
- რეალ ტვ-ზე ჟურნალისტის ტონის უარყოფითი წილი კოალიცია ქართული ოცნების მიმართ კიდევ უფრო მეტია, ვიდრე საერთო უარყოფითი ტონის წილი.

მეთოდოლოგია და ანალიზი

ტელევიზიების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება.

რაოდენობრივი მონაცემები მოცემულია დიაგრამებზე, რომლებიც ანგარიშს თან ერთვის. დიაგრამებზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია მონიტორინგის კონკრეტულ პერიოდში თითოეულ არხზე ყველა სუბიექტისთვის დათმობილი დრო, რაც თითოეული დიაგრამის სათაურშია მითითებული. თუ დიაგრამაზე რომელიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც მონიტორინგის სუბიექტს წარმოადგენს, არ არის წარმოდგენილი, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ამ არხზე ამ პარტიას დრო საერთოდ არ დაეთმო. ის პარტიები კი, რომლებსაც რამდენიმე წამი/წუთი მაინც დაეთმო, დიაგრამაზე ნაჩვენებია (ზოგჯერ დროის 0 პროცენტით). თითოეულ არხზე კატეგორია სხვაში გაერთიანებულია ის სუბიექტები (პოლიტიკური პარტიების გარდა), რომლებსაც ამ არხზე დროის 1 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო.

პირდაპირი და ირიბი საუბარი ერთმანეთისგან განასხვავებს, სიუჟეტში სუბიექტი თვითონ საუბრობს თუ მასზე საუბრობენ სხვები: ჟურნალისტი ან სხვა რესპონდენტები. დიაგრამებზე პირდაპირი და ირიბი საუბარი მოცემულია პროცენტებში. 100 პროცენტად აღებულია თითოეული სუბიექტისთვის ამ არხზე დათმობილი დრო, რაც დიაგრამებზე მოცემულია სუბიექტების გასწვრივ (სთ:წთ:წმ ფორმატში). ის სუბიექტები, რომლებსაც არხზე ერთ წუთზე ნაკლები დრო დაეთმო, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს თავის თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე. დიაგრამებზე ნაჩვენებია ტონის სამი კატეგორია: დადებითი (მწვანე), ნეიტრალური (ყვითელი) და უარყოფითი (წითელი). როდესაც ითვლება სუბიექტისთვის დათმობილი

დრო, იქვე ხდება დათმობილი დროის ტონის შეფასება. ყურადღება ექცევა როგორც ჟურნალისტის ან რესპონდენტის ტექსტს, ასევე სიუჟეტის მთლიან კონტექსტს.

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასება ტონების მიხედვით მოცემულია ორგვარად: მოცემულ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი მთლიანი დროის შეფასება ტონის მიხედვით და ცალკე ჟურნალისტის მიერ სუბიექტების გაშუქების/ხსენების ტონი. გაშუქების ტონი მოცემულია პროცენტებში. პირველ შემთხვევაში 100 პროცენტად აღებულია კონკრეტულ არხზე სუბიექტზე საუბრის დრო მთლიანად და ცალკე ჟურნალისტების მიერ ამ სუბიექტზე საუბრის დრო. სუბიექტები, რომლებსაც თითოეულ შემთხვევაში დაეთმო 1 წუთზე ნაკლები, დიაგრამებზე წარმოდგენილი არ არის.

თვისებრივად მონიტორინგის დროს ყურადღება ექცევა ბალანსს ანუ რამდენად არის სიუჟეტებში წარმოდგენილი გაშუქებული საკითხის გარშემო რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება. ასევე სიზუსტეს, რომლის შესაფასებლადაც მონიტორი აკვირდება, თუ რამდენად შესაბამისია ერთმანეთთან ჟურნალისტის დასკვნა და სიუჟეტში გამოყენებული მასალები (კადრები, რესპონდენტების კომენტარები), არის თუ არა შეცდომები სახელწოდებებში, რიცხვებში, რესპონდენტების ვინაობაში. ხდება დაკვირვება, რამდენად ეხება სიუჟეტი რაიმე კონკრეტულ ფაქტს და არის თუ არა სიუჟეტში მოყვანილი ამ ფაქტის დამადასტურებელი კადრები/კომენტარები.

მონიტორინგი ყურადრებას აქცევს საინფორმაციოებში კადრებითა და მუსიკით მანიპულირების შემთხვევებს. ითვლება, რომ მოახდინეს კადრებითა და მუსიკით მანიპულირება მაშინ, როცა სიუჟეტში გამოყენებული კადრები, ფოტოები ისეა წარმოდგენილი და თან დაჰყვება ისეთი მუსიკა, რომელიც გარკვეულ განწყობას ქმნის და იწვევს მკვეთრად დადებით ან უარყოფით ასოციაციებს.

ამ კომპონენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილია 17-30 ივლისის პერიოდის საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგები არხების მიხედვით.

პირველი არხი

პირველ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო საკმაოდ თანაბრად გადანაწილდა. ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა პირველ არხზე გასული სიუჟეტების სათაურები. ხშირი იყო სიუჟეტები, სადაც პრეზიდენტი ძალიან დადებითი ტონით გაშუქდა. სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ, პირველ არხზე სიუჟეტები ყოველთვის დაბალანსებულია. რაც შეეხება სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფაქტებით გამყარებას, პირველ არხზე სიუჟეტებში ასეთი ფაქტები ყოველთვის მოცემულია.

მონიტორინგის პერიოდში (17-30 ივლისი) პირველ არხზე სუბიექტებისთვის დათმობილი დრო საკმაოდ თანაბრად გადანაწილდა და პროცენტულ მაჩვენებლებს შორის დიდი განსხვავებები არ არის. აღსანიშნავია, რომ დროის მიხედვით პირველ ადგილას მყოფ კოალიცია ქართულ ოცნებას დაეთმო 18 პროცენტი მაშინ, როცა ყველა სხვა არხზე დათმობილი დროის ყველაზე დიდი წილი 25 პროცენტზე ნაკლები არ არის. პირველ სამეულში კოალიციასთან ერთად მოხვდნენ პრეზიდენტი (16%) და მთავრობა (12%). (იხ. დიაგრამა Time 1)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ იმ სუბიექტებთან, რომლებსაც 4 წუთზე მეტი დრო დაეთმოთ, პირდაპირი საუბრის წილი ყველგან 50 პროცენტზე მეტია მთავრობის გარდა, რომელსაც დათმობილი დროის 42 პროცენტის შემთხვევაში მიეცა პირდაპირი საუბრის საშუალება. (იხ. დიაგრამა Speech 1)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონის მიხედვით შეფასებისას გამოვლინდა, რომ ყველაზე მეტი დადებითი ტონი აქვს პრეზიდენტს (65%), მთავრობას (25%) და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას (11%). რაც შეეხება უარყოფით ტონს, ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი აქვს კოალიცია ქართულ ოცნებას (9%) და მთავრობას (5%). (იხ. დიაგრამა Tone 1).

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონს, აქაც ყველაზე მეტი დადებითი გაშუქების წილი აქვს პრეზიდენტს (54%). მაგალითად, 23 ივლისის[1] და 26 ივლისის[2] მოამზეში გავიდა სიუჟეტები პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტებზე კახეთში სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის მოსანახულებლად. ორივე სიუჟეტში მრავლად იყო ნაჩვენები კადრები, სადაც პრეზიდენტი ხალხს ესალმებოდა, თბილად ხვდებოდა, იყო ხალხის დადებითი ემოციები. დადებითი ტონი ასევე დაუფიქსირდა მთავრობას (7%) და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას (6%). უარყოფითი ტონი მხოლოდ ორი სუბიექტის მიმართ გამოვლინდა: კოალიცია ქართული ოცნება (11%) და მთავრობა (2%). კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში უარყოფითი ტონის 11 პროცენტის უმეტესი წილი გამოიწვია 17 ივლისს გასულმა სიუჟეტმა „აქტივისტების დაკავება“, სადაც საუბარი იყო კონსერვატიული პარტიის წევრის, მერაბ კაჭახიძის დაკავებაზე. სიუჟეტში ნაჩვენები იყო 2006 წელს გადაღებული ფარული ვიდეო მასალა კობა დავითაშვილისა და კაჭახიძის მონაწილეობით. სიუჟეტიდან საერთო შთაბეჭდილებაც უარყოფითი რჩებოდა კოალიცია ქართული ოცნების წევრი პარტიების მიმართ. (იხ. დიაგრამა Tone J1)

პირველ არხზე გასული სიუჟეტების სათაურები ნეიტრალური და აღწერილობითი ხასიათისაა.

17-30 ივლისის პერიოდში პირველ არხზე ხშირი იყო შემთხვევები, როცა სიუჟეტში ჭარბობდა ერთი რომელიმე სუბიექტის, კერძოდ პრეზიდენტის, საუბარი და აქტივობა. თანაც, ყველა შემთხვევაში სიუჟეტიდან დადებითი შთაბეჭდილება რჩებოდა პრეზიდენტზე. მაგალითად, 20 ივლისის სიუჟეტში „დახმარების გეგმა“, რომელიც სულ 10 წუთი და 18 წამი გაგრძელდა, თითქმის მთელი სიუჟეტის განმავლობაში იყო პრეზიდენტის აქტივობა. პრეზიდენტი ან ჩანდა, ან ჟურნალისტი საუბრობდა მასზე, ან თვითონ ესაუბრებოდა დაზარალებულებსა და მთავრობის წევრებს. მსგავსი აგებულებისაა 21 ივლისის სიუჟეტი „პრეზიდენტი კახეთში“[3] (7 წთ), სადაც სიუჟეტის ნახევრის განმავლობაში პრეზიდენტი საუბრობს, მეორე ნახევრის მანძილზე კი მასზე საუბრობენ ჟურნალისტი ან მოქალაქეები.

[1] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=Sj7tAHpaCtQ&feature=youtu.be
[2] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=IEjwGnWwzcY&feature=youtu.be
[3] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=Y8qtvlTgXh8&feature=youtu.be

ამასთან, ეს სიუჟეტი ძალიან დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს პრეზიდენტ სააკაშვილზე. ყველა სოფელში პრეზიდენტის გამოჩენას ტაშით ხვდებიან. ისმის შეძახილები: „გაიხარე, გამრავლდი, შენი იმედი ღმერთმა არ დაგვიკარგოს“ და ა.შ. პრეზიდენტი ეხუტება და ეცნობა ადგილობრივებს.

24 ივლისის სიუჟეტი „პრეზიდენტი გურიასა და სამეგრელოში“[4] გაგრძელდა 5 წუთი და 37 წამი. აქედან 2 წუთი და 20 წამი პრეზიდენტი საუბრობს თვითონ. ამასთან, სიუჟეტში იყო მომენტები, როდესაც ჟურნალისტი ნეიტრალურად საუბრობდა, თუმცა ფონად გადიოდა ძალიან დადებითი კადრები. სიუჟეტის დასაწყისში ნაჩვენებია როგორ გადასცა სტიქიით დაზარალებულებს სახლი პრეზიდენტმა; ამის შემდეგგ ნაჩვენებია როგორ ათვალიერებს სხვადასხვა პუნქტებს, ხვდება ხალხს. ხალხი სკანდირებს „მიშა მიშა“. სიუჟეტში ასევე გაიხსენეს ძველი კადრები, სამეგრელოში სტიქიის დროს ხალხთან ერთად როგორ მოდის სააკაშვილი მუხლებამდე წყალში. სიუჟეტის ბოლოს ნაჩვენებია, რომ პრეზიდენტი მივიდა ავერსის კლინიკაში, ხელში უჭირავს ახალშობილი და ეფერება. სიუჟეტი მთავრდება იმით, რომ სააკაშვილი მოდის, გარშემო ბევრი ხალხია, სკანდირებენ, სააკაშვილი ეფერება ბავშვებს, ხალხს ხელს ართმევს და ა.შ.

სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ, პირველ არხზე სიუჟეტები ყოველთვის დაბალანსებულია და წარმოდგენილია სხვადასხვა მოსაზრება გაშუქებული საკითხის გარშემო.

რაც შეეხება სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ფაქტებით (რესპონდენტის კომენტარი, კადრები, გაჟღერებული ინფორმაციის წყაროს მითითება) გამყარებას, პირველ არხზე სიუჟეტებში ასეთი ფაქტები ყოველთვის მოცემულია.

[4] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=2mAF2mX9qsk&feature=youtu.be

რუსთავი 2

დათმობილი დროის მიხედვით პირველ ოთხეულში მოხვდნენ პრეზიდენტი, მთავრობა, კოალიცია ქართული ოცნება, და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა. ხშირია სიუჟეტები, სადაც პრეზიდენტი და მთავრობის წარმომადგენლები ძალიან დადებით კონტექსტში არიან წარმოდგენილი. ასევე დადებითადაა წარმოჩენილი ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა. რაც შეეხება კოალიცია ქართულ ოცნებას, იგი უარყოფით კონტექსტშია წარმოჩენილი. სიუჟეტების სათაურები უმეტესად ინფორმაციულია და ნეიტრალური. სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

რუსთავი 17-30 ივლისამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო პრეზიდენტს (31%) და მთავრობას (20%). კოალიცია ქართული ოცნება დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილას მოხვდა 15 პროცენტით, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა - მეოთხე ადგილას 10 პროცენტით. ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 6 პროცენტი ან ამაზე ნაკლები დაეთმო (იხ. დიაგრამა Time 2).

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივ საინტერესოა, რომ პრეზიდენტის შემთხვევაში, რომელსაც ყველაზე მეტი დრო (1 სთ 23 წთ) დაეთმო, პირდაპირი საუბრის წილი 67 პროცენტია. მთავრობის შემთხვევაში პირდაპირი და არაპირდაპირი საუბრის წილი თითქმის თანაბრად გადანაწილდა (48% პირდაპირი, 52% არაპირდაპირი). ყველა იმ სუბიექტთაგან, რომლებსაც 6 წუთზე მეტი დაეთმო რუსთავი 2-ზე პირდაპირი საუბრის ყველაზე მცირე წილი აქვს კოალიცია ქართულ ოცნებას (31%). (იხ. დიაგრამა Speech 2)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებას რაც შეეხება, სურათი საკმაოდ მრავალფეროვანია. გვხვდება დადებითი და უარყოფითი ტონის საკმაოდ დიდი წილი. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტს აქვს დადებითი გაშუქების 81 პროცენტი (დაახლოებით საათ-ნახევრიდან), მთავრობას დადებითი ტონის 52 პროცენტი (დაახლოებით 1 საათიდან), ხოლო ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობას - დადებითი ტონის 35 პროცენტი (დაახლოებითი ნახევარი საათიდან). რაც შეეხება უარყოფით ტონს, ყველაზე მეტი

უარყოფითი ტონი გამოვლინდა კოალიცია ქართული ოცნების მიმართ, რომელიც დათმობილი 43 წუთიდან 55 პროცენტის შემთხვევაში უარყოფითად გაშუქდა. (იხ. დიაგრამა Tone 2)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, სურათი მსგავსია. პრეზიდენტს, მთავრობას და ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას ყველაზე მეტი დადებითი ტონი აქვთ (პრეზიდენტი - 39%, მთავრობა - 39% და ქრისტიან-დემოკრატები 20%), კოალიცია ქართულ ოცნებას კი - 55 პროცენტი უარყოფითი ტონი. (იხ. დიაგრამა Tone J2).

რუსთავი 2-ზე სიუჟეტების სათაურები უმეტესად ინფორმაციულია და ნეიტრალური. განსაკუთრებით დადებითი ან უარყოფითი ტონის სათაურები 17-30 ივლისის პერიოდში არ გამოვლენილა.

მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა ბევრი სიუჟეტი, სადაც ჭარბობს პრეზიდენტის აქტივობა: საუბარი და კადრები. ამასთან, ყველა მათგანი დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს პრეზიდენტზე. ასევე მრავლად იყო დადებითი სიუჟეტები მთავრობის წარმომადგენლებზე.

სიუჟეტები პრეზიდენტის შესახებ ძირითადად ეხებოდა მის ვიზიტებს რეგიონებში და დაზარალებულების მონახულებას. მაგალითად, 20 ივლისის სიუჟეტში „პრეზიდენტი სტიქიით დაზარალებულებთან“ ჩანს ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ზოგჯერ ტაშით აცილებს პრეზიდენტს, მადლობას ეუბნება მას. სააკაშვილი ხელს ართმევს ხალხს, აიმედებს. ჟურნალისტიც ამბობს, რომ პრეზიდენტი მთელი ღამის განმავლობაში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებს პირადად ეცნობოდა.

ასევე პრეზიდენტის მიმართ ძალიან დადებითი სიუჟეტი იყო 21 ივლისის „პრეზიდენტი დაზარალებულ სოფლებში“, სადაც მოხუცებულები ეხუტებიან სააკაშვილის. ერთი ქალბატონი ტირის, პრეზიდენტი მას ამშვიდებს. ყველა მადლობას უხდის მას. პრეზიდენტიც „ძმებად“ მოიხსენიებს ლანჩხუთელებს და ეს კიდევ უფრო დადებით შთაბეჭდილებას ქმნის მასზე.

მაყურებელს გამოკვეთილად დადებითი შთაბეჭდილება რჩება პრეზიდენტსა და მთავრობაზე 23 ივლისის სიუჟეტში „სტიქიიდან 5 დღის შემდეგ“.[5] სიუჟეტში ჩანს, რომ მთავრობა ძალიან ეფექტურად მუშაობს სტიქიის შემდეგ 5 დღის გასვლის შემდეგაც. ეს შესამჩნევია ჟურნალისტის ტექსტშიც და კადრებშიც. ძალიან დადებით შთაბეჭდილებას ქმნის სააკაშვილის ვიზიტი პატარა ბავშვის დაბადების დღეზე, სადაც ბავშვები იძახიან „მიშა! მიშა!” და ქალბატონი ეხუტება სააკაშვილს. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს ნაწილი სიუჟეტის შინაარსისათვის ცოტა შეუსაბამოა, რადგან სიუჟეტი სტიქიას ეხება და რეალურად სიუჟეტში დიდი დრო ეთმობა პრეზიდენტის ვიზიტს ბავშვის დაბადების დღეზე.

მთავრობის დადებითად წარმოჩენის მაგალითია 19 ივლისის სიუჟეტი „მთავრობა სტიქიის ზონაში“, სადაც ჟურნალისტი ამბობს, რომ სტიქიის ზონაში პირველი ვანო მერაბიშვილი ჩავიდა. სიუჟეტში ნაჩვენებია მისი ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრის კადრები, სადაც ის მოსახლეობას მდგომარეობის გამოსწორებას პირდება. სიუჟეტში ნათქვამია, რომ ადგილობრივებს ეხმარებიან თავდაცვის უწყების დანაყოფები და რეზერვისტები, ნაჩვენებია ამის ამსახველი კადრები. სიუჟეტში ასევე აჩვენეს, თუ როგორ მონაწილეობს სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავის შეკეთებაში ვიცე პრემიერი გიორგი ბარამიძე. დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს ასევე რამაზ ნიკოლაიშვილის კადრები.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გამოიკვეთა, რომ ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაზე ხშირად იყო დადებითი სიუჟეტები, რომლებიც შინაარსით ჰგავდა პრეზიდენტის შესახებ სიუჟეტებს. აქაც ქრისტიან-დემოკრატების ლიდერები ხალხს ხდებიან, ეხმარებიან მათ სხვადასხვა საქმიანობაში. მაგალითად, 17 ივლისის სიუჟეტში „ქრისტიან-დემოკრატები მარტყოფში“ ნაჩვენებია, როგორ ეხმარება გიორგი თარგამაძე გლეხებს თიბვაში. 20 ივლისის სიუჟეტში „ქდმ დაზარალებულ რეგიონში“[6] ნაჩვენებია, თუ როგორ ეხმარება თარგამაძე დაზარალებულს სარდაფიდან წყლის ხაპვაში; როგორ მიდიან ქდმ-ს წევრები საავადმყოფოში დაზარალებული ახალგაზრდის მოსანახულებლად. 23 ივლისის სიუჟეტში „ქდმ ყელქცეულში“ თარგამაძე და ვეფხვაძე თოხნიან და ხუმრობენ

[5] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=yztxmFucSOs&feature=youtu.be
[6] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=SIOR8hfMZGw&feature=youtu.be

ადგილობრივებთან ერთად. 26 ივლისის სიუჟეტი „შეხვედრა ბათუმში“[7] დადებითი იყო გიორგი თარგამაძისა და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მიმართ. ნაჩვენებია, როგორ ამოიყვანეს მოხუცებული ადამიანი სცენაზე, ბევრი ხალხი, დროშები, ისმის ტაშის ხმა. ასევე ნაჩვენებია გიორგი თარგამაძე, რომელიც სპორტული კომპლექსის დარბაზში გემიდან მოხვდა, თევზჭერის ტექნოლოგია ისწავლა, მეთევზეების პრობლემბს გაეცნო, მართა გემი. ჟურნალისტმა მოიხსენია, როგორც „კაპიტან გიორგი თარგამაძე“. ბოლოს, გიორგი თარგამაძე წყალში უშვებს თევზს, რომელიც წითელ წიგნში იყო შეტანილი და საერთო ჯამში დადებითი შთაბეჭდილება შეიქმნა ქრისტიან-დემოკრატებზე.

საინტერესოა, რომ რუსთავი 2-ზე მონიტორინგის მოცემულ პერიოდში გასული უარყოფითი სიუჟეტები უმეტესად კოალიცია ქართულ ოცნებას ეხებოდა. მაგალითად, 17 ივლისის სიუჟეტი „პოლიტიკური კორუფცია“ უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს ქართული ოცნების მიმართ, რადგან მათ კორუფციაში და გარიგებაში ეჭვმიტანილებს უწოდებენ, ხოლო ქართული ოცნებიდან მიღებულ თანხას ქართული ოცნების შავ ფულად მოიხსენიებენ.

17 ივლისის სიუჟეტი „ხალხის კრიტიკა“ უარყოფითია ქართული ოცნებისა და გოგა ხაინდრავას მიმართ, რადგან ნათქვამია, რომ გოგა ხაინდრავა არაერთხელ მიმართავს მოსახლეობას უცენზურად, ხოლო ქართული ოცნება მოხსენიებულია, როგორც რუსეთის მხარდამჭერი.

აღსანიშნავია 19 ივლისის სიუჟეტი „ახალი შეთავაზება“, სადაც საუბარია ქცევის კოდექსის ინიციატივაზე. სიუჟეტში წარმოდგენილია სხვადასხვა პარტია და არასამთავრობო ორგანიზაცია და ყველა ეს სუბიექტი ნეიტრალურადაა გაშუქებული, გარდა კოალიცია ქართული ოცნებისა, რომლის გაშუქებაც უარყოფითისკენ იხრება. ამასთან, ჟურნალისტის ტექსტის ფონად ნაჩვენებია კარალეთში მომხდარი ინციდენტის კადრები, სადაც კახი კალაძე იგინება. ამავე თემაზე 24 ივლისს გავიდა სიუჟეტი „ქცევის კოდექსი“, რომელშიც კოალიცია ისევ უარყოფითადაა გაშუქებული. ჟურნალისტი ამბობს, რომ ქცევის კოდექსს ყველა პარტიამ მოაწერა ხელი ქართული ოცნების გარდა.

[7] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=FlJKN7HXeQE&feature=youtu.be

23 ივლისის სიუჟეტი „კბილაშვილის სკანდალური ინტერვიუ“ ძალიან ტენდენციური და ნეგატიურია კოალიციის ორი წევრის მიმართ (ზაქარეიშვილი და კბილაშვილი). სიუჟეტი 8 წუთზე მეტ ხანს გრძელდება და თითქმის მთლიანად ნეგატიურია ქართული ოცნების სუბიექტების მიმართ. ნეგატიურ შთაბეჭდილებას ასევე ისიც ქმნის, რომ სიუჟეტში 9 მოქალაქის ინტერვიუა წარმოდგენილი და მათი აზრი ეწინააღმდეგება კოალიციის წევრების მიერ გაკეთებულ შეფასებებს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სიუჟეტის მთავარი დანიშნულება არის ის, რომ მაყურებელს შეექმნას ცუდი შთაბეჭდილება კოალიციისა და რუსეთის დადებით ურთიერთობაზე.

30 ივლისის სიუჟტი „ქართული ოცნება კახეთში“ დადებითია მთავრობის მიმართ, რადგან მოქალაქეები კმაყოფილები არიან და ამბობენ, რომ სტიქიის შემდეგ მთავრობა მათ დაეხმარა და აღდგენითი სამუშაოები „დუღს“. მაგრამ ქართული ოცნების მიმართ შთაბეჭდილება უარყოფითისკენ იხრება, რადგან სიუჟეტში ჩანს, რომ ადგილობრივი ქართული ოცნების წარმომადგენელს ეკამათება და ეუბნება, თქვენ აქ დასახმარებლად მოსულები არ მინახიხართ, მთავრობა გვეხმარებაო.

სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებასთან, კადრებთან და რესპონდენტების კომენტარებთან ერთად ხშირად ჟურნალისტების ტექსტიც ქმნიდა დადებით ან უარყოფით ფონს. მაგალითები:

- ჟურნალისტი: „ბიძინა ივანიშვილი პარალელურ სტრუქტურებს ქმნის და ჩნდება ეჭვი, რომ არჩევნების არასასურველად დასრულების შემთხვევაში მათი მეშვეობით შეეცდება საპროტესტო ტალღის აგორებას“. (17 ივლისი, სიუჟეტი „პარალელური პოლიტიკა“)
- ჟურნალისტი: „ქალბატონი, რომელიც ორი წლის წინ პრეზიდენტს შვილიშვილისთვის კომპიუტერს სთხოვდა, ამ დღეებში ინციდენტის მიზეზი გახდა, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი მყისიერად გამოეხმაურა.“ (25 ივლისი, სიუჟეტი „პრეზიდენტი სამეგრელოში“)
- ჟურნალისტი: „კაპიტან გიორგი თარგამაძის განკარგულებაში შტურვალი ნახევარი საათის განმავლობაში იყო.“ (26 ივლისი, სიუჟეტი „შეხვედრა ბათუმში“)

რუსთავი 2-ზე სიუჟეტები წარმოდგენილი წყაროების მიხედვით უმეტესად დაბალანსებულია.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში დათმობილი დროის მიხედვით იმედისა და რუსთავი 2-ის მონაცემები საკმაოდ მსგავსია. პირველი ოთხეულშიც იგივე სუბიექტები მოხვდნენ. ხშირად სიუჟეტები დადებით შთაბეჭდილებას ქმნის ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის მიმართ. ასევე ხშირია სიუჟეტები, სადაც ზოგადი შთაბეჭდილება უარყოფითისკენ იხრება კოალიცია ქართული ოცნების მიმართ. გვხვდება სიუჟეტების უარყოფითი ან დადებითი შინაარსის მქონე სათაურები. სიუჟეტები მათში წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. დაუბალანსებელი სიუჟეტები ეხება ძირითადად ხელისუფლების წარმომადგენლების ვიზიტებს რეგიონებში და სამთავრობო პროგრამებს. ზოგ სიუჟეტში იგრძნობოდა კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლის კომენტარის საჭიროება. რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ ფაქტებს შორის, რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში იმედზე ყველაზე მეტი დრო დაეთმო პრეზიდენტს - 34 პროცენტი. პირველი ოთხეულში იგივე სუბიექტები მოხვდნენ, რაც რუსთავი 2-ზე, იგივე თანმიმდევრობით და მსგავსი პროცენტული მაჩვენებლებით: პრეზიდენტი (34%), მთავრობა (22%), კოალიცია ქართული ოცნება (14%), ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა (12%). დანარჩენ სუბიექტებს დროის 3 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო. (იხ. დიაგრამა Time 3)

პირდაპირი და ირიბი საუბრის მხრივაც რუსთავი 2-სა და იმედის მონაცემები საკმაოდ მსგავსია. დათმობილი დროის მიხედვით პირველ ადგილას მყოფ პრეზიდენტს პირდაპირი საუბრის წილი 69 პროცენტი აქვს (დათმობილი 1 სთ 56 წთ-დან). მთავრობის შემთხვევაში პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი მეტ-ნაკლებად თანაბრადაა განაწილებული (45% პირდაპირი, 55% ირიბი). სუბიექტებიდან, რომლებიც 3 წუთზე მეტი დროის განმავლობაში გაშუქდა, ყველაზე დაბალი პირდაპირი საუბრის წილი აქვს კოალიცია ქართულ ოცნებას - 32 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Speech 3)

რაც შეეხება ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილებას, რუსთავი 2-ის მონაცემეთან მსგავსება ისევ შეინიშნება. ზოგ სუბიექტებთან მიმართებაში გამოვლინდა დადებითი და უარყოფითი ტონის საკმაოდ დიდი წილი. პრეზიდენტისთვის დათმობილი დროიდან (2 საათზე მეტი) 86 პროცენტი დადებითად გაშუქდა. მთავრობის შემთხვევაში დათმობილი დროის (1 სთ 20 წთ) 48 პროცენტი დადებითი ტონით გაშუქდა, ხოლო ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობის შემთხვევაში გამოვლინდა 56 პროცენტი დადებითი ტონი (დათმობილი 44 წუთიდან). რაც შეეხება უარყოფით ტონს, ყველაზე მეტი უარყოფითი ტონის წილი დაუფიქსირდა კოალიცია ქართულ ოცნებას, რომელიც დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილას დგას (55 წთ) - 38 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone 3)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, საერთო ტონის ტენდენცია მეორდება. პრეზიდენტს, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას და მთავრობას დადებითი ტონის ყველაზე მეტი წილი აქვთ (70%, 41%, 35%), ქართულ ოცნებას კი - ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი 46 პროცენტი, რაც საერთო ტონში ამ სუბიექტის მიმართ გამოვლენილი უარყოფითი ტონის წილს აღემატება. (იხ. დიაგრამა Tone J3).

17-30 ივლისის პერიოდში იმედზე გასულ სიუჟეტებს ძირითადად ინფორმაციული და ნეიტრალური სათაურები ჰქონდა. თუმცა, იმ სიუჟეტებთან, რომლებიც კოალიცია ქართულ ოცნებას ეხებოდა, შეინიშნებოდა უფრო უარყოფითი ტონის სათაურები. მაგალითად, „პოლიტიკური კორუფცია? - ჯიბიდან ჯიბეში - უკანონო შემოწირულობები 'ოცნებაში'" (17 ივლისი), „რას ერჩის ივანიშვილი გელბახიანს?" (18 ივლისი) „ოცნების არქიტექტურა - ივანიშვილის დაწუნებული პროექტები და სტალინის ძეგლი". ხელისუფლების წარმომადგენლების შესახებ სიუჟეტების სათაურები უფრო ხშირად იხრებოდა დადებითისკენ. მაგალითად, „იუსტიციის სახლი - ინოვაციური პროექტი - ლორდთა პალატის უმაღლესი შეფასება" (17 ივლისი), „სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია - სარეაბილიტაციო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს" (21 ივლისი).

მონიტორინგის პერიოდში იმედზე ხშირი იყო სიუჟეტები, სადაც ჭარბობდა პრეზიდენტის გამოჩენა, აქტივობა და საუბარი. (20 ივლისი, სიუჟეტი „პრეზიდენტი სტიქიით

დაზარალებულ რეგიონებში: აღდგენითი სამუშაოები - შეხვედრა მოსახლეობასთან“; 23 ივლისი, სიუჟეტი „პრეზიდენტი და პატრიარქი კახეთში: შეხვედრა სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან“; 26 ივლისი, სიუჟეტი „პრეზიდენტი კახეთში: აღდგენითი სამუშაოების დათვალიერება - შეხვედრა მოსახლეობასთან“.

აღსანიშნავია, რომ სიუჟეტებში პრეზიდენტისა და მთავრობის ხშირად და ხანგრძლივად გამოჩენასთან ერთად ეს სუბიექტები ძალიან დადებითადაა წარმოჩენილი. მონიტორინგის მოცემულ პერიოდში ხშირი იყო სიუჟეტები, სადაც აჩვენებდნენ პრეზიდენტის შეხვედრას ხალხთან სხვადასხვა რეგიონში, ხალხის მიერ მის ქებასა და მის მიმართ მადლიერების გამოხატვას, ჩახუტებას, მისი სახელის სკანდირებას და ტაშს.

მაგალითად, 19 ივლისის სიუჟეტში „პრეზიდენტი სტიქიით დაზარალებულ რეგიონებში: დავალებები მთავრობას“ ნაჩვენებია, როგორ მიდის პრეზიდენტი სხვადასხვა ოჯახში, როგორ ამშვიდებს დაზარალებულებს და ჰპირდება ზარალის ანაზღაურებას. ნაჩვენებია კადრები, სადაც დაზარალებულები ტირიან. სააკაშვილი ხელს გადახვევს მათ, ეუბნება დამშვიდდით, ჩვენ რისთვის ვართ, ყველაფერი კარგად იქნებაო. თავად მოქალაქეებიც იმედით შეჰყურებენ პრეზიდენტს და ეუბნებიან, მიშა, შენი იმედი გვაქვსო.

20 ივლისის სიუჟეტი „პრეზიდენტი სტიქიით დაზარალებულ რეგიონებში: აღდგენითი სამუშაოები - შეხვედრა მოსახლეობასთან“[8] ძალიან დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს პრეზიდენტზე. საგულისხმოა, რომ სიუჟეტი აგებულია არა სტიქიაზე და მის მიერ გამოწვეულ ზარალზე, არამედ პრეზიდენტის მიერ ხალხთან შეხვედრაზე და ძირითადად ხალხის მიერ სააკაშვილის ქებაზე. სიუჟეტი 7 წუთსა და 40 წამს გრძელდება და სიუჟეტის ორი მესამედი პრეზიდენტის დადებით გაშუქებას ეთმობოდა: პრეზიდენტის შესახებ რესპონდენტების საუბარს ან მის გამოჩენას ან თავად სააკაშვილის საუბარს.

23 ივლისის სიუჟეტი „პრეზიდენტი და პატრიარქი კახეთში: შეხვედრა სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან“[9] ასევე ძალიან დადებითია პრეზიდენტის მიმართ.

[8] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=PLltHfS8Jfo&feature=youtu.be
[9] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=2ump4474Moo&feature=youtu.be

ნაჩვენებია პრეზიდენტის შეხვედრა მოსახლეობასთან პატრიარქთან ერთად და მოსახლეობის თბილი და მადლიერი შეხვედრა. პრეზიდენტი ასევე შეხვდა მუშებს, ადგილობრივ მცხოვრებლებს სახლში მიაკითხა და მოინახულა. იგი დაბადების დღეზეც დაპატიჟეს, ბავშვები მხიარული სკანდირებით შეეგებნენ. დაბადების დღეზე იუბილარმა ბავშვმა ტორტი ჩააქრო. სააკაშვილმა იგი ხელში აიყვანა და სიუჟეტი დამთავრდა იმით, თუ როგორ უჭირავს მომღიმარ პრეზიდენტს ასევე მომღიმარი ბავშვი ხელში.

იმედზე ასევე ხშირად იყო სიუჟეტები, სადაც დადებითად იყო წარმოჩენილი პრემიერმინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, მთავრობის სხვა წევრები. მაგალითად, 17 ივლისის სიუჟეტში „პრემიერი გორის რაიონში – სოფლის მეურნეობის პრიორიტეტები“ ნაჩვენებია, როგორ ესაუბრება პრემიერმინისტრი გლეხს სოფლის მეურნეობის საკითხებზე, დეტალურად განიხილავს ვაშლის ჯიშების და მათი მოყვანის საკითხებს, აგრეთვე სტუმრობს გორის ცენტრს, რომლის რეაბილიტაციაც ახლა მიმდინარეობს. მერაბიშვილი აღნიშნავს, რომ რებილიტაცია ხელს შეუწყობს გორში ბიზნესის განვითარებას და ადგილობრივთა დასაქმებას. აგრეთვე ნათქვამია, რომ მერაბიშვილმა მოინახულა გორში მშენებარე ეკლესიაც (ნაჩვნებია, როგორ ესალმება სასულიერო პირს). იქმნება დადებითი ტონი, მთლიანად მერაბიშვილის მიმართ.

იმედზე გამოვლინდა სიუჟეტები, სადაც ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა წარმოჩინდა დადებითად. მაგალითად, 17 ივლისის სიუჟეტში „ქდმ მარტყოფში – წინასაარჩევნო პროგრამის გაცნობა“ ნაჩვენებია, როგორ ეხმარებიან ქდმ-ს წევრები გლეხებს თიბვაში, როგორ პირდებიან მათ პრობლემების გადაჭრას და წარმოდგენილია ადგილობრივ მცხოვრებთა კომენტარები, რომლებიც დადებითად საუბრობენ ქრისტიან-დემოკრატებზე. 18 ივლისის სიუჟეტში „ქდმ ლანჩხუთის რაიონში“ აჩვენებენ, თუ როგორ წამლავს გიორგი თარგამაძე ხეებს ამერიკული პეპლების საწინააღმდეგოდ. ქდმ-ს წევრები ჩანან ხალხის გარემოცვაში და დადებითი შთაბეჭდილება იქმნება მათზე.

ჩამოთვლილი სუბიექტების დადებითად წარმოჩენასთან ერთად აღსანიშნავია, რომ კოალიცია ქართულ ოცნებასა და მის წევრებზე სიუჟეტებში უარყოფითი შთაბეჭდილება

რჩება. 18 ივლისის სიუჟეტი „რას ერჩის ივანიშვილი გელბახიანს?“[10] ნეგატიურია ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ივანიშვილს ერთ-ერთი გამოსვლის დროს რამდენჯერმე შეეშალა თავისი მაჟორიტარობის კანდიდატი ვალერი გელაშვილი გელბახიანში. ჯერ გელაშვილის მაგივრად გელბახიანი თქვა, შემდეგ კი პირიქით. გვაჩვენებენ ამ კადრებს და ჟურნალისტიც დეტალურად აღწერს, თუ როგორ ერევა ივანიშვილს გვარები ერთმანეთში. ბოლოს, ჟურნალისტი თავადაც გელბახიანის მაგივრად გელაშვილს ამბობს და რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს შეცდომა არაა და ჟურნალისტი ირონიით აკეთებს ამას.

25 ივლისის სიუჟეტიდან „უმუშევართა რეგისტრაცია: მოსახელეობის აღრიცხვის პროცესი დაიწყო“ გამომდინარეობს, რომ ივანიშვილი იმიტომ არ ენდობა კვლევებს, რომ სურს, არჩევნების შემდეგ ქვეყანაში დესტაბილიზაცია შეიტანოს.

17 ივლისის სიუჟეტში „ოცნების არქიტექტურა: ივანიშვილის დაწუნებული პროექტები და სტალინის ძეგლი“[11] საუბარია იმაზე, რომ ბიძინა ივანიშვილს არ მოსწონს სააკაშვილის ხელისუფლების დროს აშენებული „შუშის შენობები“. ასევე წარმოდგენილია კოალიცია ქართული ოცნების გორის მაჟორიტარი, რომელიც ამბობს, რომ მოსახლეობის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია, სტალინის ძეგლის დაბრუნება პირვანდელ ადგილას. სტალინის ძეგლის აღდგენის საილუსტრაციოდ ნაჩვნებია ძეგლის დემონტაჟის დამონტაჟებული ვერსია, თითქოს ძეგლი პირვანდელ ადგილს დაუბრუნდა. ამ კადრებს თან ახლავს სპეციფიური მუსიკა და მოყვება ჟურნალისტის სიტყვები – „ეს ქართული ოცნების ერთ-ერთი გეგმაა“. სიუჟეტი უარყოფითად წარმოაჩენს ბიძინა ივანიშვილს. (17 ივლისი, სიუჟეტი 5)

სიუჟეტები მათში წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით ზოგჯერ დაბალანსებულია და ზოგჯერ - არა. ხშირია დაუბალანსებელი სიუჟეტები ისეთ თემებზე, როგორიცაა ხელისუფლების წარმომადგენლების სტუმრობა რეგიონებში და მოსახლეობასთან შეხვედრა, სამთავრობო პროგრამები დაზღვევისა და დასაქმების შესახებ. ზოგ სიუჟეტში იგრძნობა კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლის კომენტარის საჭიროება.

[10] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=4QkyEv2SlR4&feature=youtu.be
[11] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=KVHYCoght2U&feature=youtu.be

სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებასთან, კადრებთან და რესპონდენტების კომენტარებთან ერთად ჟურნალისტების ტექსტიც ქმნიდა დადებით ან უარყოფით ფონს. მაგალითები:

- ჟურნალისტი: „თვითონ [ივანიშვილი] შუშის სასახლეში ცხოვრობს და შუშის შენობები არ მოსწონს.“ (17 ივლისი, სიუჟეტი „ოცნების არქიტექტურა: ივანიშვილის დაწუნებული პროექტები და სტალინის ძეგლი“)
- ჟურნალისტი: „დოკუმენტს, რომლის მთავარი პრინციპი არჩევნების ძალადობისა და ამომრჩეველთა მოსყიდვის გარეშე ჩატარებაა, ივანიშვილის კოალიციაში ეწინააღმდეგებიან.“ (18 ივლისი, სიუჟეტი „ოცნების უარი“)
- ჟურნალისტი: „მთავრობის წევრებისგან ანგარიში ჩაიბარა მიხეილ სააკაშვილმა, რომელსაც დაზარალებული რეგიონი არ დაუტოვებია.” (20 ივლისი, სიუჟეტი „პრეზიდენტი სტიქიით დაზარალებულ რეგიონებში: აღდგენითი სამუშაოები - შეხვედრა მოსახლეობასთან“)
- ჟურნალისტი: „ივანიშვილი კანონით დაკისრებულ ვალდებულებას ასრულებს, თუმცა უცნაური ფორმით. ოლიგარქი ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებს.“ (21 ივლისი, სიუჟეტი „ჯარიმა - ვაჭრობა? - რა უნდა ივანიშვილს?“)

რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ ფაქტებს შორის, რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა. მაგალითად, 25 ივლისის სიუჟეტში „ლეობორისტების ბრიფინგი: ძაგანიას განცხადება“[12] ჟურნალისტი ამბობს, რომ ძაგანიას თქმით, ბიძინა ივანიშვილის მიერ გადარიცხული 80 მილიონი ნაციონალების საარჩევნო კამპანიას მოხმარდება და ამის შესახებ ივანიშვილი სააკაშვილს ალავერდში ფარულად შეუთანხმდა. თუმცა, ამის შემდეგ ნაჩვენებია ძაგანიას საუბარი, სადაც ის იგივეს არ იმეორებს და რთულია მისი საუბრიდან რაიმე დასკვნის გაკეთება.

მაესტრო

მაესტროზე სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება მეტ-ნაკლებად თანაბარია. ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას, შემდეგ მთავრობას. ზოგადი შთაბეჭდილებით სიუჟეტები ძირითადად ნეიტრალურია. ხელისუფლების წარმომადგენლები

[12] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=2y4FoO-1k7U&feature=youtu.be

ხშირად კრიტიკულადა არიან გაშუქებული. სიუჟეტებში უარყოფითი ან დადებითი შთაბეჭდილება ძირითადად რესპონდენტების კომენტარების შედეგად რჩება. სიუჟეტებს უმეტესად ინფორმაციული და ნეიტრალური სათაურები ჰქონდა. სიუჟეტები მათში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ ძირითად შემთხვევებში დაბალანსებულია. გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როცა ჟურნალისტის ნათქვამი არ შეესაბამება სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარს.

მაესტროზე სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება მეტ-ნაკლებად თანაბარია. ყველაზე მეტი დრო დაეთმო კოალიცია ქართულ ოცნებას - 25 პროცენტი, შემდეგ მთავრობას 23 პროცენტი. მესამე და მეოთხე ადგილას კი 13 და 11 პროცენტით არიან ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი. ყველა დანარჩენ სუბიექტებს დროის 6 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო (იხ. დიაგრამა Time 4).

მაესტროზე პირდაპირ და ირიბ საუბარზე დაკვირვებით გამოვლინდა, რომ იმ სუბიექტთაგან, რომელთაც 5 წუთზე მეტი დაეთმო, მთავრობას (50 წთ) პირდაპირი საუბრის ყველაზე მცირე წილი აქვს - 29 პროცენტი. კოალიცია ქართულ ოცნებას, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და პრეზიდენტს პირდაპირი და არაპირდაპირი საუბარი ერთნაირი პროპორციით გადაუნაწილდათ. (იხ. დიაგრამა Speech 4)

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილი დროის შეფასებას ტონის მიხედვით, აღსანიშნავია, რომ დათმობილი დროის მიხედვით სუბიექტთა პირველი ოთხეულის მიმართ გამოვლინდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ტონი. თუმცა, მათ შორის ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი (26%) აქვს მთავრობას, ხოლო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას და პრეზიდენტს უარყოფითი ტონის 18 და 21 პროცენტი აქვთ. ადგილობრივ თვითმმართველობას აქვს უარყოფითი ტონის საკმაოდ დიდი წილი - 43 პროცენტი. თუმცა, ამ სუბიექტისთვის დათმობილი დრო მხოლოდ 4 წუთ-ნახევარია. კოალიცია ქართულ ოცნებას ოცნებას მხოლოდ 5 პროცენტი აქვს უარყოფითი ტონის წილი. რაც შეეხება დადებით ტონებს, ყველაზე მეტი დადებითი ტონი აქვს პრეზიდენტს 27 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone 4)

რაც შეეხება ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, სურათი იმეორებს საერთო ტონის ტენდენციას. ყველაზე მეტი უარყოფითი ტონის წილი გამოვლინდა რამდენიმე სუბიექტის მიმართ: მთავრობა (15%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (17%), პრეზიდენტი (15%), ადგილობრივი თვითმმართველობა (44%). (იხ. დიაგრამა Tone J4)

მაესტროზე სიუჟეტებს უმეტესად აღწერილობითი და ნეიტრალური სათაურები ჰქონდა.

სიუჟეტებზე დაკვირვებისას ზოგადი შთაბეჭდილებით სიუჟეტები უმეტესად ნეიტრალური იყო სუბიექტების მიმართ. თუმცა, ხელისუფლების წარმომადგნლების შემთხვევაში შეინიშნებოდა უარყოფითი გაშუქება, ოღონდ უფრო მეტად კრიტიკულ ჭრილში. აქვე აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ეს უარყოფითი შთაბეჭდილება იქმნება რესპონდენტების კომენტარების შედეგად და არა ჟურნალისტის ტექსტებით ან კადრებით. თუმცა, გვხვდება კადრების გამოყენებით გარკვეული შთაბეჭდილების შექმნის მაგალითებიც.

მაგალითად, 17 ივლისის სიუჟეტში „პრემიერმინისტრი გორში“[13] ნაჩვენებია qartli.ge-ს მიერ გაკეთებული ვიდეო კოლაჟი, სადაც ვანო მერაბიშვილი სხვადასხვა სოფელში მოსახლეობასთან შეხვედრის დროს ერთსა და იმავე ტექსტსა და ჟესტებს იყენებს. შედეგად, სიუჟეტიდან საერთო შთაბეჭდილება მერაბიშვილის მიმართ უარყოფითისკენ იხრება.

24 ივლისის სიუჟეტი „ახალი წესები ჟურნალისტებისთვის“ უარყოფითისკენ იხრება მთავრობისა და მერაბიშვილისადმი. სიუჟეტი ეხება იმას, რომ მერაბიშვილის მოსვლის შემდეგ კანცელარიაში სამთავრობო სხდომაზე ჟურნალისტებისთვის პირობები გამკაცრდა. უარყოფითადაა წარმოჩენილი მერაბიშვილი, როგორც დამნაშავე ამ გამკაცრებებში. ამ სიუჟეტში ჟურნალისტი ამბობს: „პრემიერმინისტრ ვანო მერაბიშვილის პირობის მიუხედავად, რომ მთავრობა ქართული მედიისთვის ხელმისაწდომი იქნებოდა, არ შესრულდა.“ რამდენჯერმე აღინიშნება რომ მერაბიშვილმა თავისი დაპირება არ შეასრულა და პირიქით გაუმკაცრა ჟურნალისტებს წვდომა მთავრობის სხდომაზე.

[13] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=5Zkvjx4KMq4&feature=youtu.be

26 ივლისის სიუჟეტში „პრეზიდენტი თელავში: მიხეილ სააკაშვილმა გიგი უგულავასთან ერთად სტიქიით დაზარალებულ ქალაქში სკვერი გახსნა“[14] გაკრიტიკებული იყო პრეზიდენტი და ხელისუფლება. უკმაყოფილო ადგილობრივებმა შექმნეს უარყოფითი შთაბეჭდილება სააკაშვილის მიმართ. ჟურნალისტმა ხაზი გაუსვა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილმა ვერ შეძლო პრობლემების პრეზიდენტამდე მიტანა. გაკტირიკებული იყო ასევე იმიტომ, რომ პრეზიდენტის ფეისბუკის ვიზიტის მხოლოდ ის ნაწილი მოხვდა, სადაც ადგილობრივები კმაყოფილებას გამოხატავდნენ. მართალია, აჩვენეს სააკაშვილის სიტყვა, რომელიც აიმედებდა მოსახლეობას და პრობლემების მოგვარება პირდებოდა, მაგრამ სიუჟეტის მსვლელობისას მისი სიტყვები დადებითად აღარ ჟღერდა კონტექსტიდან გამომდინარე. ასევე ნაჩვენები იყო უკმაყოფილო ქალბატონის კომენტარი, რომ „სპეკტაკლი კარგი გამოვიდა რა“ და ამან შექმნა ნეგატიური ფონი.

ასევე საინტერესოა, რომ რამდენიმე სიუჟეტში პრეზიდენტი დადებითად გაშუქდა. მაგალითად, 17 ივლისის სიუჟეტი „მოსახლეობასთან შეხვედრა“ აჩვენებს პრეზიდენტს, რომელიც ხალხითაა გარშემორტყმული და დადებითად საუბრობს. ასევე 21 ივლისის სიუჟეტი „აღდგენითი სამუშაოები თელავში“, სადაც ჩანს, როგორ ესაუბრება სააკაშვილი მოსახლეობას და პირდება პრობლემების მოგვარებას. სიუჟეტში წარმოდგენილია, თუ როგორ ეხუტება და კოცნის სააკაშვილი მოსახლეობას და როგორ აქებენ ისინი მას.

მაესტროზე სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ ძირითად შემთხვევებში დაბალანსებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტები ძირითადად ისეთ საკითხებს ეხება, სადაც აშკარაა ხელისუფლების და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების კომენტარის საჭიროება. აქედან რამდენიმე შემთხვევაში ჟურნალისტებმა განმარტეს, რომ რესპონდენტებმა არ ისურვეს კომენტარის გაკეთება.

მაესტროზე ასევე გამოვლინდა რამდენიმე შემთხვევა, როცა ჟურნალისტის ნათქვამი არ შეესაბამება სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარს. ამის მაგალითია 26

[14] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=7RBKZw7qvXY&feature=youtu.be

ივლისს გასული სიუჟეტი „კავკასიაში თბილისის საიდუმლო თამაშებზე“,[15] სადაც ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ ხიზრი ალდამოვი მიხეილ სააკაშვილს ჟვანიას, პატარკაციშვილისა და რომან დუმბაძის მკვლელობაში ადანაშაულებს. თუმცა, იმ ნაწყვეტში, რაც სიუჟეტში აჩვენეს, ხიზრი ალდამოვი ამას არ ამბობს. იგი სააკაშვილს ადანაშაულებს ტერორისტული ბანდების შექმნაში, მაგრამ არ ახსენებს არც ზემოთ ჩამოთვლილ პირებს და არც მკვლელს უწოდებს მას.

მაესტროზე მონიტორინგის მოცემულ პერიოდში რამდენიმეჯერ დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც რესპონდენტს შეცდომით დაეწერა ან სულ არ დაეწერა ვინაობა.

კავკასია

გამოიკვეთა ორი სუბიექტი, რომელსაც სხვა სუბიექტებთან შედარებით ბევრად მეტი დრო დაეთმო: კოალიცია ქართული ოცნება და მთავრობა. ზოგადი შთაბეჭდილება სიუჟეტებიდან ხშირ შემთხვევაში ნეიტრალურია. თუმცა, სიუჟეტებში, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლები ფიგურირებენ საერთო შთაბეჭდილება უფრო უარყოფითისკენ იხრება. უარყოფითი შთაბეჭდილების მიზეზი სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარებია და არა ჟურნალისტის ტექსტი ან კადრები. სიუჟეტებს სათაურები არ აქვს და ამის გამო მათზე დაკვირვება ვერ ხერხდება. წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. სიუჟეტები უმეტესად გამყარებულია კადრებითა და რესპონდენტთა კომენტარებით. იშვიათად გვხვდება შეუსაბამობა ჟურნალისტის დასკვნასა და რესპონდენტის კომენტარებს შორის.

დათმობილი დროის მიხედვით მონიტორინგის მოცემულ პერიოდში კავკასიაზე გამოიკვეთა ორი სუბიექტი, რომელსაც სხვა სუბიექტებთან შედარებით ბევრად მეტი დრო დაეთმო. ესენია: კოალიცია ქართული ოცნება (29%) და მთავრობა (20%). დანარჩენ სუბიექტებს 8 პროცენტი ან ნაკლები დაეთმო. (იხ. დიაგრამა Time 5).

[15] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=MjaqNNzwi4Y&feature=youtu.be

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტული განაწილების მიხედვით აღსანიშნავია, რომ კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში პირდაპირი და ირიბი საუბრის წილი უფრო თანაბრადაა განაწილებული (47% პირდაპირი, 53% ირიბი), ვიდრე მთავრობის შემთხვევაში, რომელსაც პირდაპირი საუბრის წილი მხოლოდ 31 პროცენტი აქვს. დანარჩენი სუბიექტების უმეტესობას პირდაპირი საუბრის არანაკლებ 49 პროცენტი აქვს. (იხ. დიაგრამა Speech 5)

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ტონით შეფასებისას აღსანიშნავია, რომ ყველა მეტი უარყოფითი ტონი დაფიქსირდა მთავრობის მიმართ - 25 პროცენტი. პრეზიდენტს აქვს უარყოფითი ტონის 14 პროცენტი, კოალიცია ქართულ ოცნებას - 7 პროცენტი. რაც შეეხება დადებით ტონს, ყველაზე მეტი დადებითი ტონი გამოვლინდა პრეზიდენტის მიმართ (30% 15 წუთიდან); კოალიცია ქართულ ოცნებასა და მთავრობას დადებითი ტონის 11-11 პროცენტი დაუფიქსირდა. (იხ. დიაგრამა Tone 5)

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება უმეტესად ნეიტრალურ სურათს ქმნის. მთავრობის შემთხვევაში დაფიქსირდა უარყოფითი ტონის შედარებით დიდი წილი - 18 პროცენტი, ხოლო კოალიცია ქართული ოცნების შემთხვევაში - უარყოფითი ტონის 7 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Tone J5).

კავკასიაზე სიუჟეტებს სათაურები არ აქვს. ამის გამო მათზე დაკვირვება ვერ ხერხდება.

ზოგადი შთაბეჭდილება კავკასიის სიუჟეტებიდან ხშირ შემთხვევაში ნეიტრალურია; თუმცა, სიუჟეტებში, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლები ფიგურირებენ (პრეზიდენტი, მთავრობა, მმართველი პარტია), საერთო შთაბეჭდილება უფრო უარყოფითისკენ იხრება. კავკასიაზეც, მაესტროს მსგავსად, უარყოფითი შთაბეჭდილების მიზეზი სიუჟეტში წარმოდგენილი რესპონდენტების კომენტარებია და არა ჟურნალისტის ტექსტი ან კადრები. მაგალითად, 24 ივლისის სიუჟეტი მთავრობის მიერ გამოყოფილი თანხის განხილვაზე. სიუჟეტი მთლიანობაში ნეიტრალურია. თუმცა, სიუჟეტში წარმოდგენილმა გია ცაგარეიშვილმა უარყოფითად ისაუბრა პრეზიდენტზე. ასევე ნაჩვენები იყო ნაწილი, სადაც ჯონდი ბაღათურია აკრიტიკებდა ფინანსთა მინისტრის მოადგილეს. ამ კომენტარების შედეგად საერთო შთაბეჭდილება ხელისუფლების მიმართ უარყოფითი დარჩა.

კავკასიაზე იყო რამდენიმე სიუჟეტი, სადაც მთავრობა დადებითად გაშუქდა. მაგალითად, 19 ივლისის სიუჟეტი სტიქიაზე კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში, სადაც პრეზიდენტი საუბრობდა და ეს ქმნიდა სიუჟეტის ზოგად დადებით შთაბეჭდილებას მასზე. 20 ივლისის სიუჟეტი ასევე სტიქიაზე, სადაც ჟურნალისტი აღწერს მთავრობის მუშაობის პროცესს და ტოვებს დადებით შთაბეჭდილებას მთავრობაზე.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში იშვიათად გამოვლინდა სიუჟეტები, სადაც კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლებზე დადებითი შთაბეჭდილება იქმნებოდა, ისიც რესპონდენტების კომენტარების ხარჯზე. მაგალითად, 24 ივლისის სიუჟეტი ზვიად ძიძიგურის მოსახლეობასთან შეხვედრაზე რუსთავში, სადაც ძიძიგურმაც და ადგილობრივმა მცხოვრებმაც დადებითად ისაუბრეს ბიძინა ივანიშვილზე.

კავკასიაზე სიუჟეტები წარმოდგენილი რესპონდენტების მხრივ მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. იმ შემთხვევებში, როცა სიუჟეტები დაბალანსებული არ არის, ძირითადად იგრძნობა სასამართლოსა და პროკურატურის წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობა. იყო შემთხვევები, როცა სიუჟეტში შეინიშნებოდა ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობა. თუმცა, ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ისურვეს კომენტარის გაკეთება.

სიუჟეტები უმეტესად გამყარებულია კადრებითა და რესპონდენტთა კომენტარებით. რაც შეეხება შეუსაბამობას ჟურნალისტის დასკვნასა და სიუჟეტში წარმოდგენილ მასალას შორის, საინტერესოა 24 ივლისის სიუჟეტში აუდიტის სახელმწიფო სამსახურის ახალი ხელმძღვანელის კანდიდატურაზე ჟურნალისტმა თქვა, რომ გავრცელებული ინფორმაციით ეკა ხერხეულიძე შეცვლიდა ლაშა თორდიას. თუმცა, არ დაუკონკრეტებია ამ ინფორმაციის წყარო. მით უფრო, რომ ეკა ხერხეულიძემ სიუჟეტში აღნიშნა, რომ მისთვის ეს ინფორმაცია უცხო იყო.

25 ივლისის სიუჟეტში პარტია თავისუფალი საქართველოს ლიდერების ვიზიტზე სოფელ ჯიშკარიანში[16] ჟურნალისტის თქმით, ლიდერები მოსახლეობას შეხვდნენ და პარტიის პროგრამა გააცნეს და მოსახლეობა ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტების რუსულ ბაზარზე დაბრუნების პერსპექტივებით დაინტერესდნენ. თუმცა, სიუჟეტში ნაჩვენები კადრები ასახავდა კუკავა-შალამბერიძის ვიზიტს ზვიად გამსახურდიას განსასვენებელთან. თვითონ კუკავამაც ჟურნალისტისთვის მიცემულ კომენტარში ისაუბრა იმაზე, რომ მათი პარტიის მიზანია, ქვეყანა დააბრუნოს იმ ეროვნულ და მართლმადიდებლურ საწყისებზე, რაც პრეზიდენტ გამსახურდიასა და კოსტავას სურდათ. სიუჟეტში ნაჩვენებ კადრებში ჩანს მხოლოდ რამდენიმე ადამიანი, რომელიც კუკავას უკან მიყვება. არ არის უშუალოდ მოსახლეობასთან შეხვედრისა და საუბრის კადრები.

17-30 ივლისის პერიოდში კავკასიაზე სიუჟეტებში წარმოდგენილი რესპონდენტების უმეტესობას არ ეწერებოდა ვინაობა. 20 ივლისის სიუჟეტში დაფიქსირდა შეცდომა. ჟურნალისტმა თქვა, რომ თავისუფალმა საქართველომ 75 ათასი ხელმოწერა შეიტანა ცესკოში. ალექსანდრე შალამბერიძე კი ხელმოწერების რიცხვად 80 ათასს ასახელებდა.

მეცხრე არხი

მეცხრე არხზე დათმობილი დროის მიხედვით პირველ და მეორე ადგილას მდგომ სუბიექტებს (კოალიცია ქართულ ოცნებასა და მთავრობას) დაახლოებით ერთი და იგივე დრო დაეთმო. ხელისუფლების წარმომადგენლები უმეტეს შემთხვევებში უარყოფით კონტექსტში არიან გაშუქებული. სიუჟეტების სათაურების მხრივ მეცხრე არხზე ზოგჯერ შეიმჩნევა კრიტიკული და ირონიული სათაურები ხელისუფლების მიმართ. რაც შეეხება სიუჟეტებში სხვადასხვა მოსაზრებების წარმოდგენას, ამ მხრივ სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. ასევე გვხვდება შეუსაბამობა ჟურნალისტის დასკვნებსა და სიუჟეტებში წარმოდგენილ მასალებს შორის.

[16] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=Lspp4BNSFbU&feature=youtu.be

მეცხრე არხზე დათმობილი დროის მიხედვით პირველ და მეორე ადგილას მდგომ სუბიექტებს დაახლოებით ერთი და იგივე დრო დაეთმო (კოალიცია ქართული ოცნება 27%, მთავრობა 26%). ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა და პრეზიდენტს - 15 და 9 პროცენტი. დანარჩენ სუბიექტებს კი 4 პროცენტი და ნაკლები დაეთმო. (იხ. დიაგრამა Time 6)

პირდაპირი და ირიბი საუბრის განაწილებას რაც შეეხება, სუბიექტებიდან, რომლებსაც ამ არხზე 17-30 ივლისის პერიოდში 6 წუთზე მეტი დრო დაეთმო, პირდაპირი და ირიბი საუბრის ყველაზე თანაბარი განაწილება კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს (47% პირდაპირი და 53% ირიბი). დანარჩენი სუბიექტებიდან მთავრობას, რომელიც დათმობილი დროის მიხედვით მეორე ადგილასაა 38 წუთით, პირდაპირი საუბრის ყველაზე მცირე წილი დაუფიქსირდა - 18 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ იმ სუბიექტებიდან, რომლებსაც 5 წუთზე მეტი დაეთმო, პირდაპირი საუბრის ასეთი დაბალი მაჩვენებელი არცერთ არხზე არ დაფიქსირებულა მონიტორინგის მოცემულ პერიოდში. პრეზიდენტსა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ასევე შედარებით დაბალი პირდაპირი საუბრის მაჩვენებელი აქვთ - 27 და 33 პროცენტი. (იხ. დიაგრამა Speech 6)

სუბიექტების გაშუქების ტონის მხრივ მთავრობას, პრეზიდენტსა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას აქვს უარყოფიტი ტონის ყველაზე მეტი წილი: მთავრობის (36%), პრეზიდენტის (34%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა (26%). რაც შეეხება დადებით ტონს, მხოლოდ ორ სუბიექტს დაუფიქსირდა დადებითი გაშუქების შედარებით დიდი წილი: პრეზიდენტს (17% 14 წუთიდან და კოალიცია ქართულ ოცნებას - 9% 46 წუთიდან). (იხ. დიაგრამა Tone 6)

ჟურნალისტის ტონის მიხედვით სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება ზოგად ტონის ტენდენციის მსგავსია. უარყოფითი ტონის წილი საკმაოდ დიდია ისეთი სუბიექტების მიმართ, როგორებიცაა: მთავრობა (32% 21 წუთიდან), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (30% დაახლოებით 11 წუთიდან) და პრეზიდენტი (36% 8 წუთიდან). (იხ. დიაგრამა Tone J6)

სიუჟეტების სათაურების მხრივ მეცხრე არხზე ძირითადად ინფორმაციული ხასიათის სათაურებია. თუმცა, ზოგჯერ შეიმჩნევა კრიტიკული და ირონიული სათაურები ხელისუფლების მიმართ. მაგალითები: „მერაბიშვილი გორში: პრემიერმა შეხვედრებზე ერთი

ტექსტი ცხრაჯერ გაიმეორა“ (18 ივლისი), „პრეზიდენტთან შეხვედრის მოლოდინში: შეხვედრის მცდელობისთვის ადამიანები ისჯებიან“ (20 ივლისი), „საჩვენებელი სამუშაოები: მიხეილ სააკაშვილმა სტიქიის ზონაში სკვერი გახსნა“ (26 ივლისი), „მეოცნებე "ნაციონალური მოძრაობა": ნაცმოძრაობამ ქართველი ოცნების სახელს ეფარება“ (30 ივლისი).

თვისებრივი მონიტორინგის დროს სიუჟეტების ზოგად შთაბეჭდილებაზე დაკვირვების შედეგად მეცხრე არხზე გამოიკვეთა ტენდენცია, რომ სიუჟეტებში პრეზიდენტი, მთავრობა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა უმეტეს შემთხვევებში უარყოფით კონტექსტში არიან გაშუქებული როგორც რესპონდენტების კომენტარების, ასევე საერთო კონტექსტისა და ჟურნალისტის ტექსტის შედეგად.

მაგალითად, 18 ივლისის სიუჟეტი „გეგენავას დაპირება“. სიუჟეტის მთავარი შინაარსი ის არის, რომ გეგენავა ხვდება ამომრჩევლებს და წინასაარჩევნო დაპირებებს იძლევა. შემდეგ მოყვანილია პარლამენტის კანონი და სისხლის სამართლის კოდექსი რაც კრძალავს მსგავს ქმედებებს.

18 ივლისის სიუჟეტი „მერაბიშვილი გორში: პრემიერმა შეხვედრებზე ერთი ტექსტი ცხრაჯერ გაიმეორა“ დამცინავი და უარყოფითია პრემიერის ვანო მერაბიშვილისადმი. მთელი სიუჟეტი აგებულია ერთ მოტივზე, რომ მერაბიშვილი ერთსა და იმავე დაზეპირებულ წინადადებებს იმეორებდა ყველა შეხვედრაზე სოფლებში, რაც უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნის მერაბიშვილზე.

20 ივლისის სიუჟეტი „სტიქიის კომპენსაციები: ზარალის საერთო ოდენობას მთავრობა ვერ თვლის“ უარყოფითისკენ იხრება ხელისუფლების მიმართ, რადგან ნათქვამია, რომ ხელისუფლება სულ 1000 ლარად აფასებს გლეხის მთელი წლის შრომას და, ექსპერტის თქმით, ეს ციფრები ხელისუფლების პიარ აქციას უფრო ჰგავს, ვიდრე დაზარალებულთათვის რეალურად დახმარების აღმოჩენის მცდელობას.

21 ივლისის სიუჟეტი „საქველმოქმედო 10 მილიონი“ დადებითისკენ იხრება ივანიშვილის მიმართ და უარყოფითისკენ იხრება მთავრობის მიმართ. ჟურნალისტი რამდენჯერმე

აღნიშნავს, რომ ეს იყო ივანიშვილის ქველმოქმედება, მთავრობა კი ამას არ აღიარებს. ამასთან, ხაზგასმითაა აღნიშნულია, რომ სარეზერვო ფონდი დაცარიელებულია და მთავრობას ფული სჭირდება. ჟურნალისტი ამბობს: „მთავრობას სახელმწიფო ზარალთან ერთპიროვნული გამკლავების ამბიცია აქვს და პოლიტიკური მეტოქის დახმარებაზე უარს ამბობს.“ მთლიანობაში რჩება შთაბეჭდილება, რომ ივანიშვილი ღირსეულად იქცევა და ეხმარება დაზარალებულებს, მთავრობა კი არ აღიარებს ამას მაშინ, როცა თავად ვერ უმკლავდება ზარალს.

28 ივლისის სიუჟეტი „ყურანზე დაფიცებული მხარდაჭერა: მმართველი გუნდი საარჩევნო ხმებს აგროვებს“ უარყოფითია ნაციონალური მოძრაობისა და ხელისუფლების მიმართ, რადგან სიუჟეტში ნათქვამია, რომ ნაციონალების აქტივისტები სოფელში დადიან და ამომრჩევლებს მათი პარტიის მახრადაჭერას ყურანზე აფიცებინებენ.

რაც შეეხება სიუჟეტებში სხვადასხვა მოსაზრებების წარმოდგენას, ამ მხრივ სიუჟეტები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში სიუჟეტებში არ არის წარმოდგენილი მთავრობისა, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა კომენტარები. თუმცა, რამდენიმე შემთხვევაში აღნიშნეს, რომ რესპონდენტებთან დაკავშირება და მათგან კომენტარის მიღება ვერ მოხერხდა.

მეცხრე არხზე ხშირად გვხვდება სიუჟეტები, სადაც კონკრეტული სუბიექტის მიმართ უარყოფით შთაბეჭდილებას ამძაფრებს ჟურნალისტის ტექსტი. მაგალითები:

- ჟურნალისტი: „ეს მაშინ, როდესაც ორი წლის წინ სააკაშვილმა ნაციონალურ არხებს 34 მილიონი ჩამოაწერა”. (18 ივლისი, სიუჟეტი შემოსავლების სამსახურის შესახებ)
- ჟურნალისტი: „9 სოფელი და პრემიერ მინისტრის ერთი უნივერსალური ტექსტი, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ჩვეულ სიტყვა ძუნწობას ღალატობს და პრემიერის ამპლუას ირგებს, თუმცა, ვანო მერაბიშვილი ცხრა სხვადასხვა შეხვედრაზე მოსახლეობას ერთოდა იგივე ტექსტით და ჟესტიკულაციით მიმართავს.” (18 ივლისი, სიუჟეტი „მერაბიშვილი გორში: პრემიერმა შეხვედრებზე ერთი ტექსტი ცხრაჯერ გაიმეორა“)
- ჟურნალისტი: „ნიკა რურუა ბიძინა ივანიშვილს მიერ ჩატარებულ სამუშაოებსაც უწუნებს, თუმცა, წლების მანძილზე სწორედ კულტურის სამინისტროს თხოვნის

საფუძველზე გარემონტდა სრულიად უსასყიდლოდ ათეულობით ობიექტი” .... და ჩამოთვლილია ათზე მეტი ობიექტი. (18 ივლისი, სიუჟეტი „პასუხი კულტურის მინისტრს“)

- ჟურნალისტი: საქართველოს მოქალაქეების მიერ შავი დღისთვის გადანახული ყულაბა კი ხელისუფლებამ დააცარიელა. (24 ივლისი, სიუჟეტი „ფინანსთა მინისტრი პარლამენტში“)
- ჟურნალისტი: „პრეზიდენტთან შეხვედის მცდელობისთვის ნაცემ მოქალაქეებს არც მიხეილ სააკაშვილის ბოდიში მიუღიათ, არც ნახვის ბედნიერება ჰქონიათ.“ (25 ივლისი, სიუჟეტი „პრეზიდენტის ბოდიში“)

17-30 ივლისის პერიოდში მეცხრე არხზე გამოვლინდა შემთხვევები, როცა ჟურნალისტის დასკვნა არ ემთხვევა სიუჟეტში წარმოდგენილ მასალას. მაგალითად, 19 ივლისის სიუჟეტში „დაცლილი პარლამენტი“[17] ნათქვამია, რომ „საქართველოს გზის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, შენობა უნდა იყიდოს საფრანგეთსა და მოსკოვში მცხოვრებმა ქართველმა ბიზნესმენმა. ამის შემდეგ ჟურნალისტი ამბობს, რომ საფრანგეთში მცხოვრები ქართველები ამბობენ, რომ ეს ადამიანი არის საქართველოს ხელისუფლებასთან და კერძოდ სააკაშვილთან დაახლოებული პირი. ამას მოსდევს ჩართვა საფრანგეთიდან, სადაც სკაიპით ერთვება მეცხრე არხის საფრანგეთის კორესპონდენტი. ის უბრალოდ ჩამოთვლის იმ ობიექტებს, რაც ამ ადამიანს ეკუთვნის და იმეორებს, რომ ეს ადამიანი საქართველოს მთავობასთან დაახლოებული პირია. თუმცა, ამისი დამადსტურებელი არანაირი დამადასტურებელი წყარო ან ფაქტი მთელ სიუჟეტში არსადაა ნაჩვენები.

25 ივლისის სიუჟეტში „პრეზიდენტის ბოდიში“[18] ჟურნალისტი ყვება მოქალაქეებზე, რომლებიც სხვადასხვა დროს ცდილობდნენ პრეზიდენტთან შეხვედრას და ამის გამო ისინი დააკავეს. სიუჟეტში ყველა ჩამოთვლილი ადამიანი ნაჩვენებია. ისინი თავად ყვებიან თავის ამბავს. ბოლოს, ჟურნალისტი ამბობს, რომ ერთ-ერთი მოქალაქე მხოლოდ იმიტომ იჯდა 6 თვე ციხეში, რომ რუსთავში ჩასულ პრეზიდენტს, რომელიც ახალ გზებზე და ინფრასტრუქტურაზე ესაუბრებოდა ხალხს, მიაძახა „ასფალტი ვჭამოთ?!“ თუმცა, არანაირი დამამტკიცებელი ფაქტი ან წყარო, რომ ეს ნამდვილად მოხდა და ნამდვილად დააკავეს ეს ადამიანი, არ არის მოყვანილი.

[17] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=ubRSdwY5LEE&feature=youtu.be
[18] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=jmGhC3rmh1g&feature=youtu.be

რეალ ტვ

შვიდ არხს შორის რეალ ტვ-ზე დათმობილი დროის ყველაზე მაღალი პროცენტი დაფიქსირდა ერთი კონკრეტული სუბიექტის მიმართ - კოალიცია ქართული ოცნება. ორი ძირითადი ტენდენცია იკვეთება: დადებითი სიუჟეტები პრეზიდენტისა და მთავრობის მიმართ და მკვეთრად უარყოფითი შინაარსის სიუჟეტები კოალიცია ქართული ოცნების მიმართ. უარყოფით გაშუქებას უმეტესად განაპირობებს ჟურნალისტის ტექსტები, ასევე ხშირია მუსიკითა და კადრებით მანიპულირება. ასევე ხშირად გვხდება უარყოფითი ტონის სათაურები. სიუჟეტები ხან დაბალანსებულია, ხან არა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაუბალანსებელი სიუჟეტების უმეტესობა განპირობებულია კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების კომენტარების ნაკლებობით ან განსხვავებული აზრის მქონე რესპონდენტების ნაკლებობით.

რეალ ტვ ისევ ერთადერთი არხია, რომელიც ერთ კონკრეტულ სუბიექტს უთმობს სუბიექტებისთვის დათმობილი მთელი დროის 40 პროცენტზე მეტს და ეს სუბიექტი მონიტორინგის ყველა პერიოდში არის კოალიცია ქართული ოცნება. 17-30 ივლისის პერიოდში კოალიცია ქართულ ოცნებას დაეთმო დროის 45 პროცენტი (1 სთ 42 წთ). პრეზიდენტი და მთავრობა თითქმის ერთნაირი დროით გაშუქდა (პრეზიდენტი 23% - 51 წთ, მთავრობა 19 პროცენტი - 43 წთ). დანარჩენ სუბიექტებს კი 4 პროცენტი ანუ 8 წუთი ან ნაკლები დრო დაეთმოთ. (იხ. დიაგრამა Time 7)

პირდაპირი და ირიბი საუბრის პროცენტულ განაწილებას რაც შეეხება, იმ სამი სუბიექტიდან, რომელსაც 40 წუთზე მეტი დრო დაეთმო, კოალიცია ქართულ ოცნებას აქვს პირდაპირი საუბრის ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი (29%) და ირიბი საუბრის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (71%). საინტერესოა, რომ კოალიციისა და პრეზიდენტის შემთხვევაში პირდაპირი-ირიბი საუბრის განაწილება ზუსტად უკუპროპორციულია. პრეზიდენტს აქვს პირდაპირი საუბრის 71 პროცენტი. მთავრობას აქვს პირდაპირი საუბრის 43 პროცენტი, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას კი - 82 პროცენტი დათმობილი 8 წუთიდან. (იხ. დიაგრამა Speech 7)

სუბიექტების გაშუქების ტონს რაც შეეხება, ძირითად სამ სუბიექტს თუ შევხედავთ, კოალიცია ქართული ოცნება დათმობილი დროის 71 პროცენტის შემთხვევაში უარყოფითი ტონითაა გაშუქებული, ხოლო პრეზიდენტსა და მთავრობას დადებითი ტონის 72 და 46 პროცენტი აქვთ. (იხ. დიაგრამა Tone 7)

სუბიექტებზე ჟურნალისტის საუბრის ტონის შეფასებისას იკვეთება, რომ კოალიცია ქართულ ოცნებას ჟურნალისტის შემთხვევაში უარყოფითი ტონის უფრო მეტი წილი აქვს - 78 პროცენტი. მთავრობა და პრეზიდენტია ის სუბიექტები, რომლებსაც დადებითი ტონის ყველაზე დიდი წილი აქვს როგორ ზოგადი ტონის, ისე ჟურნალისტის ტონის შემთხვევაში (მთავრობა 25%, პრეზიდენტი 44%). (იხ. დიაგრამა Tone J7)

სიუჟეტების სათაურების მხრივ რეალ ტვ-ზე აღსანიშნავია, რომ ხშირად გვხვდება აღწერილობითი და მოკლე სათაურები. თუმცა, როცა სიუჟეტი ეხება კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლებს, სიუჟეტებს უმეტესად უარყოფითი ტონის სათაურები აქვს. მაგალითად, „ბიძინას მოჯადოებული წრე“ (18 ივლისი), „ბიძინას საბჭოთა ოცნება“ (19 ივლისი), „ივანიშვილის ხრიკი“ (20 ივლისი), „მატყუარა იზორია“ (24 ივლისი), „ბიძინას სინდისის თვე“ (30 ივლისი). ხოლო როცა სიუჟეტი ხელისუფლების წარმომადგნლებს ეხება, სათაურები ნეიტრალურია ან დადებითი. მაგალითად, „იუსტიციის სახლები: მსოფლიო აღიარება“ (17 ივლისი), „დასაქმება მთავრობის პრიორიტეტი“ (25 ივლისი), „პრემიერის მადლობა ექიმებს“ (26 ივლისი), „პრეზიდენტის მადლობა ჯარისკაცებს“ (30 ივლისი).

სიუჟეტებში ზოგადი შთაბეჭდილების მიხედვით რეალ ტვ-ზე ორი ძირითადი ტენდენცია იკვეთება. ერთის მხრივ, ეს არის დადებითი სიუჟეტები პრეზიდენტისა და მთავრობის მიმართ, ხოლო, მეორეს მხრივ, მკვეთრად უარყოფითი შინაარსის სიუჟეტები კოალიცია ქართული ოცნებისა და მისი წევრების მიმართ და ასევე იშვიათად ოპოზიციის სხვა წარმომადგენლების მიმართ. ორივე შემთხვევაში ზოგად შთაბეჭდილებას ქმნის როგორც ჟურნალისტის ტექსტი, ასევე რესპონდენტების კომენტარები და ნაჩვენები კადრები.

მაგალითად, 23 ივლისის სიუჟეტში „პრეზიდენტი და პატრიარქი კახეთში“ ნაჩვენებია პრეზიდენტის მოსახლეობასთან შეხვედრა ეკლესიასთან. პრეზიდენტი კოცნის ხალხს, ისინი

კი მადლობას უხდიან. ამასთან, ისმის ხალხის ნათქვამი: ღმერთმა დაგლოცოთ, ღმერთმა. პრეზიდენტი ხალხში დადის, მათ ხელს ართმევს და გულში იკრავს.

24 ივლისის სიუჟეტში „პრეზიდენტი წალენჯიხაში“ ნაჩვენებია, როგორ ზის სააკაშვილი ქუთელიების ოჯახში და ესაუბრება მათ. დიასახლისი პრეზიდენტს მადლობას უხდის. შემდეგ აჩვენებენ ძველ კადრებს, სადაც პრეზიდენტი სწორედ ამ ქალბატონთან ხელჩაკიდებული მიაპობს ადიდებულ მდინარეს.

26 ივლისის სიუჟეტებში „სადაზღვევო პოლისების დარიგება“ და „პრემიერი ჯეოკლინიკაში“ დადებითი შთაბეჭდილება იქმნება ვანო მერაბიშვილზე, რადგან ის ერთ შემთხვევაში დიდი გულისყურით უხსნის ბექაურების ოჯახს დაზღვევის პირობებს, მეორე შემთხვევაში კი ელაპარაკება ბავშვს და პირდება ექიმს, რომ მათ ხელფასებს მოუმატებენ.

რაც შეეხება უარყოფითი შთაბეჭდილების მქონე სიუჟეტებს კოალიცია ქართული ოცნების მიმართ, ძირითადი აქცენტი ბიძინა ივანიშვილზე კეთდება. ხშირია მისი დაკავშირება რუსეთთან, პუტინთან, ნინო ბურჯანაძესთან და ედუარდ შევარდნაძისა და საბჭოთა ეპოქასთან. უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნის როგორც ჟურნალისტის ტექსტი, ასევე რესპონდენტების კომენტარები და კადრები. ხშირია კადრებითა და მუსიკით მანიპულირება კოალიციის წარმომადგენლების ნეგატიური გაშუქების მიზნით.

მაგალითად, 17 ივლისის სიუჟეტი „ოცნების სუფრა“ უარყოფით შთაბეჭდილებას ქმნის კოალიციისა და ივანიშვილის მიმართ, რადგან ნათქვამია, რომ კოალიციის წევრები ყოველი აქციის შემდეგ რესტორანში ქეიფობენ ივანიშვილის ფულით. ნაჩვენებია ბნელი ღამე და გუბაზ სანიკიძე, რომელიც მიდის რესტორან ლორდში.

19 ივლისის სიუჟეტი „ბიძინას მაჟორიტარები“[19] გამოკვეთილად უარყოფითია ქართული ოცნებისადმი, რადგან ირონიულად წარმოაჩენს უსუფაშვილსა და ხიდაშელს. სიუჟეტში ნაჩვენებია, რომ თინა ხიდაშელს და უსუფაშვილსაც არავინ იცნობ იმ რეგიონებში, სადაც

[19] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=S1MLVJVkPe0&feature=youtu.be

ისინი წარდგენილნი არიან. ირონიულია ხიდაშელის შედარება სერიალის გმირ კასანდრასთან.

19 ივლისის სიუჟეტში „ბიძინას საბჭოთა ოცნება“[20] ჟურნალისტი ცდილობს სხვადასხვა დროს ბიძინა ივანიშვილის მიერ გამოთქმული ფრაზების ნეგატიურად წარმოჩენას. ყურადღებაა გამახვილებული ივანიშვილის განცხადებაზე, რომ სსრკ-ს დროს საქართველო კარგი იყო. საერთო ჯამში, სიუჟეტიდან გამომდინარეობს, რომ ივანიშვილს საბჭოთა საქართველოს ნოსტალგია აქვს.

19 ივლისის სიუჟეტში „გელაშვილი სოფლიდან გამოაგდეს“[21] უარყოფითად წარმოადგენს კოალიციის მაჟორიტარ ვალერი გელაშვილს. სიუჟეტი ეხება იმას, თუ როგორ „გამოაგდეს“ სოფლის მცხოვრებლებმა გელაშვილი სოფლიდან და როგორ ლანძღავდნენ მას. ადგილობრივები ამბობენ, რომ გელაშვილმა წინა დაპირებები არ შეასრულა, ამიტომ ხალხს მისი ნახვა არ სურს. თუმცა, ყველა მომენტში არ არის ნათელი, ხალხი გელაშვილს ლანძღავს თუ ვინმე სხვას.

24 ივლისის სიუჟეტი „კრემლის ხარვეზი“[22] ნეგატიურია ივანიშვილის მიმართ. მთელი სიუჟეტის მანძილზე იგი ერთხელაც არ არის ნეიტრალურად ნაჩვენები. ჯერ საუბარია მის მსგავსებაზე ბურჯანაძესთან და იმაზე, რომ იგი შევარდნაძის ინტერესებს ატარებს. შემდეგ კი საუბარია მსგავსებაზე პუტინსა და ივანიშვილს შორის. სიუჟეტში წარმოდგენილ რესპონდენტებს არ ეწერებათ ვინაობა და უცნობი რჩება, ვინ არიან ის ადამიანები, ვინც უარყოფითად საუბრობს ივანიშვილზე.

26 ივლისის სიუჟეტში „ჩაშლილი შეხვედრა“[23] კოალიციის მაჟორიტარობის კანდიდატ მირიან წიკლაურზე ნათქვამია, რომ ყაზბეგში გამგებლად ყოფნის დროს მან ააგროვა ფული და მოატყუა ხალხი. ასევე ნაჩვენებია ლევან იზორიას შეხვედრა მოსახლეობასთან სამეგრელოში, სადაც ჩხუბი იყო. სიუჟეტში წარმოდგენილია მოხევე, რომელიც ქართული

[20] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=G2uNaCF-CIE&feature=youtu.be
[21] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=0QfI0g0g8Y0&feature=youtu.be
[22] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=3jAwQSIJvKU&feature=youtu.be
[23] იხ. სიუჟეტი შემდეგ ბმულზე: http://www.youtube.com/watch?v=hsQPXdDFrFk&feature=youtu.be

ოცნების მომხრეებს კურდღლებს უწოდებს და შემდეგ მათზე ლექსსაც კითხულობს, სადაც ივანიშვილი და მისი მომხრეები უარყოფითადაა მოხსენიებული. აღსანიშნავია სიუჟეტში სტუდიიდან ჩართული ჟურნალისტის ტექსტები. მაგალითად, მოხევე ხალხს იგი ისტორიულად პირმართალ და ვაჟკაც ხალხს უწოდებს, ამიტომ მოხევე რესპონდენტებისგან გამორიცხავს „ჭორების აყოლას“. ჟურნალისტი კიდევ ბევრ ისეთ დასკვნას აკეთებს, რაც არაფრით დასტურდება და საკმაოდ არასერიოზულად ჟღერს.

რაც შეეხება სიუჟეტების ბალანსს წარმოდგენილი რესპონდენტების მიხედვით, ამ პრეიოდში სიუჟეტები ხან დაბალანსებულია, ხან - არა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გვხვდება არა მხოლოდ დაუბალანსებელი სიუჟეტები, სადაც სხვადასხვა მხარის კომენტარების ნაკლებობა იგრძნობა, არამედ სიუჟეტები, სადაც რესპონდენტების მიკუთვნების მხრივ ბალანსი არის, მაგრამ არ არის წარმოდგენილი აზრთა მრავალფეროვნება.

რეალ ტვ-ზე ხშირად გვხვდება სიუჟეტები, სადაც კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლების მიმართ უარყოფით შთაბეჭდილებას ამძაფრებს ჟურნალისტის ტექსტი. მაგალითები:

- ჟურნალისტი: „ბიძინა ივანიშვილი, სავარაუდოდ, მხოლოდ თავის შუშის სასახლეზეა შეყვარებული.“ (17 ივლისი, სიუჟეტი „ოცნების მაჟორიტართა სია“)
- ჟურნალისტი: „ჯონდი ბაღათურია რომ ივანიშვილის ფულის სურნელით დიდი ხანია გაბრუებულია, ამაზე საპარლამენტო უმრავლესობაში დიდ ხნის წინ საუბრობდნენ.“ (18 ივლისი, სიუჟეტი „კონსპირაციული შეხვედრა“)
- ჟურნალისტი: „პუტინი საბჭოთა კავშირის დაშლას მისტირის, ბიძინა ივანიშვილს კი წითელი საქართველო ენატრება.“ (19 ივლისი, სიუჟეტი „ბიძინას საბჭოთა ოცნება“)
- ჟურნალისტი: „თუმცა, რესპუბლიკური პარტიის ლიდერის შეგირდს, სავარაუდოდ, ფრიადებზე არ უსწავლია და პოლიტიკაში გამოჩენიდან დღემდე ოლიგარქმა უკვე არაერთი შეცდომა დაუშვა.“ (19 ივლისი, სიუჟეტი „ივანიშვილის მენტორი“)
- ჟურნალისტი: „ის, რომ მილიარდერი ივანიშვილი მაფიოზ მმართველ პუტინს <u>სიმაღლით</u>, ჟესტიკულაციით, საუბრის მანერით, მსოფლმხედველობით და რუსეთში დაგროვილი დიდი კაპიტალით ჰგავს, შესაძლოა მილიარდერს არ წაადგეს.“ (24 ივლისი, სიუჟეტი „კრემლის ხარვეზი“)

დანართი - დიაგრამები

დიაგრამა Time 1



დიაგრამა Time 2



დიაგრამა Time 3



დიაგრამა Time 4



დიაგრამა Time 5



დიაგრამა Time 6



დიაგრამა Time 7



დიაგრამა Speech 1



დიაგრამა Speech 2



დიაგრამა Speech 3



დიაგრამა Speech 4



დიაგრამა Speech 5



დიაგრამა Speech 6



დიაგრამა Speech 7



დიაგრამა Tone 1



დიაგრამა Tone J1



დიაგრამა Tone 2



დიაგრამა Tone J2



დიაგრამა Tone 3



დიაგრამა Tone J3



დიაგრამა Tone 4



დიაგრამა Tone J4



დიაგრამა Tone 5



დიაგრამა Tone J5



დიაგრამა Tone 6



დიაგრამა Tone J6



დიაგრამა Tone 7



დიაგრამა Tone J7